THE UNITED STATES IMMIGRATION POLICY TOWARD JEWISH REFUGEES DURING THE WORLD WAR II

ამერიკის შეერთებული შტატების საიმიგრაციო პოლიტიკა ებრაელი ლტოლვილების მიმართ II მსოფლიო ომის დროს

MARIAM LAZARASHVILI
Ph.d student of American Studies, Ivane Javakhishvili Tbilisi State University;
Visiting Lecturer, Gori State Univeristy,
Chavchavadze st., No53, 1400, Gori, Georgia,
+995 599 37 43 43, mariamlazarashvili90@gmail.com
https://orcid.org/0009-0002-3837-1061

Abstract. World War II is one of the most tragic and decisive periods in world history, marked not only by large-scale military confrontations but also by humanitarian catastrophes. The humanitarian crisis created during this time, particularly the genocide directed against the Jewish population, posed a significant challenge to the entire international community. During the Holocaust, millions of Jews fled Europe to save their lives, and their survival often depended on the immigration policies of other countries, including the United States. The U.S., as a symbol of democracy and freedom, represented the last hope for many European Jews seeking refuge. Despite America's historically liberal image, the American immigration system of the 1930s and 1940s was characterized by strict control mechanisms and restrictions based on public fear. Furthermore, the political discourse of the time and the public's attitude were often shaped by isolationist sentiments, anti-Semitic propaganda, and economic fears, which directly influenced the fate of Jewish refugees.

This article aims to examine the U.S. government's attitude toward Jewish refugees in the 1930s and 1940s, analyzing the factors that shaped its policies toward them. The study takes into account the political context, public sentiment, anti-Semitism, media influence, and other mechanisms.

Keywords: World War II; Holocaust; Jews; USA; immigration policy; anti-Semitism; Great Depression.

მარიამ ლაზარაშვილი
ამერიკისმცოდნეობის დოქტორანტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
მოწვეული სპეციალისტი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
საქართველო, ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. 53, 1400
+995 599 37 43 43, mariamlazarashvili90@gmail.com
https://orcid.org/0009-0002-3837-1061

აბსტრაქტი. მეორე მსოფლიო ომი მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული და გადამწყვეტი პერიოდია, რომელიც გამოირჩევა არა მხოლოდ მასშტაბური სამხედრო დაპირისპირებით, არამედ ჰუმანიტარული კატასტროფებითაც. ამ პერიოდში შექმნილი ჰუმანიტარული კრიზისი, განსაკუთრებით ებრაელი მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართულ გენოციდთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო მთელი საერთაშორისო საზოგადოებისთვის. ჰოლოკოსტის დროს მილიონობით ებრაელი თავის გადასარჩენად გაიქცა ევროპიდან, მათი გადარჩენა ხშირად დამოკიდებული იყო სხვა ქვეყნების, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების, საიმიგრაციო პოლიტიკაზე. აშშ, როგორც დემოკრატიისა და თავისუფლების სიმბოლო, ბევრი თავშესაფრის მაძიებელი ევროპელი ებრაელისთვის უკანასკნელ იმედს წარმოადგენდა. მიუხედავად ამერიკის ისტორიულად ლიბერალური იმიჯისა, 1930-40-იანი წლების ამერიკული საიმიგრაციო სისტემა მკაცრი საკონტროლო მექანიზმებითა და საზოგადებრივ შიშებზე დაფუძნებული შეზღუდვებით ხასიათდებოდა, დამატებით, ამ პერიოდის აშშ-ს პოლიტიკური დისკურსი და საზოგადოების დამოკიდებულება ხშირად ეყრდნობოდა იზოლაციონისტურ განწყობებს, ანტისემიტურ პროპაგანდას და ეკონომიკურ შიშებს, რაც პირდაპირ აისახა ებრაელი ლტოლვილების ბედზე.

სტატია მიზნად ისახავს შეისწავლოს აშშ-ს მთავრობის დამოკიდებულება ებრაელი ლტოლვილების მიმართ 1930-1940-იან წლებში, გაანალიზოს ის ფაქტორები, რომელიც ებრაელი ლტოლვილების მიმართ მათ პოლიტიკას განსაზღვრავდა. საკითხის შესწავლისას გათვალისწინებულია პოლიტიკური კონტექსტი, საზოგადოებრივი განწყობა, ანტისემიტიზმი, მედიის გავლენა და სხვა მექანიზმები.

საკვანძო სიტყვები: მეორე მსოფლიო ომი; ჰოლოკოსტი; ებრაელები; აშშ; საიმიგრაციო პოლიტიკა; ანტისემიტიზმი; დიდი დეპრესია.

შესავალი. მიუხედავად ებრაელების მიმართ არსებული შეუნიღბავი, დისკრიმინაციული პოლიტიკისა, გენოციდი ნაცისტების ხელისუფლებაში მოსვლისთანავე არ დაწყებულა. ისინი თავიდან ებრაელების ქვეყნიდან გაეძევებას ცდილობდნენ, მაგრამ ებრაელებს წასასვლელი არსად ჰქონდათ, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ დანარჩენ მსოფლიოს მათი მიღების დიდი სურვილი არ გამოუთქვამთ. რეალურად, გერმანიის ნაცისტური მთავრობის მიერ ჩაგრულ ევროპელ ებრაელთა რიცხვი, ვინც შეძლო და უსაფრთხოდ დატოვა ქვეყანა, ძალიან მცირე იყო. 1938 წლიდან გერმანიაში ვითარება მეტად დაიძაბა. ქვეყანაში არსებულმა ანტისემიტურმა ისტერიამ 1938 წელს (9-10 ნოემბრის ღამე) ებრაელთა სინაგოგები და მაღაზიები მასობრივ გაჩანაგებამდე მიიყვანა, რომელიც ისტორიაში შევიდა, როგორც "ბროლის ღამე" (მინის ნამხსვრევთა გამო, რომლითაც გერმანული ქალაქები იყო მიმოფენილი). შედეგად, თავშესაფრის მაძიებელ ებრაელთა რიცხვმაც იმატა. 1938 წლის ივლისში გამართული ევიანის (საფრანგეთი) საერთაშორისო კონფერენცია დევნილების შესახებ, რომელიც შეერთებული შტატების

პრეზიდენტის ფრანკლინ რუზველტის ინიციატივით ჩატარდა და მიზნად გერმანიასა და ავსტრიაში ნაცისტური რეჟიმისგან გაქცეული ებრაელი ლტოლვილების საკითხის განხილვას, მათთვის თავშესაფრის პოვნას და დასახმარებლად ალტერნატიული გზების ძიებას ისახავდა, სრული მარცხით დასრულდა. მიუხედავად იმისა, რომ მონაწილე 32 ქვეყანის წარმომადგენელმა თანაგრძნობა გამოხატა ებრაელი ლტოლვილების მიმართ მონაწილე, არც ერთმა მათგანმა გერმანიიდან და ავსტრიიდან დევნილ ებრაელებს თავშესაფრის მიღების მცირეოდენი იმედიც კი არ მისცა. გამართულ კონფერენციაზე პრეზიდენტ რუზველტის მიერ წამოყენებული ინიციატივის შედეგად სამთავრობათაშორისო კომისია შეიქმნა, რისი მეშვეობითაც ისინი გერმანიის მთავრობასთან სამშვიდობო მოლაპარაკებების წარმოებას შეძლებდნენ. თუმცა, კონფერენციის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენელთა განწყობამ ამ ძალისხმევასაც ხელი შეუშალა. (Bartrop, 2019: 33) ფაქტობრივად, ევიანის კონფერენციის მარცხმა მნიშვნიელოვნად შეუწყო ხელი ებრაელი ლტოლვილების მდგომარეობის გაუარესებას და ჰოლოკოსტის ტრაგედიის განვითარებას.

მიუხედავად ჰუმანიტარული კრიზისისა, აშშ-ის საიმიგრაციო პოლიტიკა მკაცრი კვოტებით და ბიუროკრატიული ბარიერებით ხასიათდებოდა, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავდა ებრაელი ლტოლვილების მიღების შესაძლებლობას. აღნიშნული პოლიტიკა არ იყო განსაზღვრული მხოლოდ ეროვნული უსაფრთხოების ან ეკონომიკური გათვლებით. ხშირად ასახავდა იმდროინდელ საზოგადოებრივ განწყობას, მათ შორის ქსენოფობიურ და ანტისემიტურ მიდრეკილებებს.

მეთოდები. სტატიაში გამოყენებულია ისტორიულ-დოკუმენტური მასალა, ოფიციალური საარქივო მასალები (სახელმწიფო დეპარტამენტის დოკუმენტები, კონგრესის ჩანაწერები), ბეჭდური და ციფული მედია მასალები და მონოგრაფიები, ასევე, ცნობილი ისტორიკოსების და მკვლევრების ანალიტიკური ნაშრომები, რომელთა შესწავლისა და შედარებითი ანალიზის შედეგად განსაზღვრულია ის პოლიტიკური, სოციალური და იდეოლოგიური ფაქტორები, რომელმაც ევროპელი თავშესაფრის მაძიებელი ებრაელების მიმართ შტატების რეაქცია განსაზღვრა.

შედეგები და მსჯელობა: ამერიკის შეერთებული შტატების საიმიგრაციო პოლიტიკა მეორე მსოფლიო ომის დროს მკაცრად შეზღუდული იყო ეროვნული წარმოშობის კვოტებზე დაფუძნებული სისტემით, რომელიც 1924 წლის საიმიგრაციო აქტით დაწესდა. აღნიშნული კანონი ყოველწლიურ ლიმიტს აწესებდა სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებისთვის, ძირითადად აშკარა უპირატესობას აძლევდა ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს და ზღუდავდა იმ ქვეყნებს, სადაც ებრაული მოსახლეობა სჭარბობდა. მაგალითად, 1939 წელს გერმანიის და ავსტრიის საერთო საიმიგრაციო კვოტა დაახლოებით 27,000-ს შეადგენდა, თუმცა ეს რაოდენობაც იშვიათად ივსებოდა, რისი მიზეზიც რთული ბიუროკრატიული და სავიზო შეზღუდვები იყო. მიუხედავად ებრაული მოსახლეობის მიმართ არსებული დევნისა, აშშ-მ 1933 წლიდან 1945 წლამდე დაახლოებით 200,000 ებრაელი ლტოლვილი მიიღო, რაც არსებითად დაბალი მაჩვენებელია ჰოლოკოსტის მასშტაბებთან შედარებით (Breitman & Kraut, 1987: 57).

შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საიმიგრაციო პოლიტიკა ამ პერიოდის ამერიკული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი სამი ძირითადი ასპექტის გათვალისწინებით ჩამოყალიბდა: დიდი დეპრესიით გამოწვეული უმუშევრობა, ეროვნული რესტრიქციონიზმი და ანტისემიტიზმი.

რუზველტის ადმინისტრაციაში საიმიგრაციო საკითხებთან დაკავშირებით მოქმედი მთავარი ფიგურა სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ბრეკინრიჯ ლონგი იყო, რომელიც რუზველტის დიდი ხნის მეგობარი და „ახალი კურსის“ ეკონომიკური, რეფორმატორული

პროგრამის პერიოდიდან მოყოლებული მისი ადმინისტრაციის წევრი იყო. (Feingold, 1995: 81) მეორე მსოფლიო ომის დაწყებისას სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა უწყებებმა „საომარი პრობლემების დივიზია“ შექმნა, რომლის ხელმძღვანელიც სწორედ ლონგი გახდა. მისი ხელმძღვანელობა აღნიშნულ პოზიციაზე სავალალო იყო იმ მხრივ, რომ მას სახელმწიფო დეპარტამენტის სავიზო განყოფილებაც ექვემდებარებოდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ლონგი ლტოლვილების საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიმღებ პოზიციაზე აღმოჩნდა. მისი განწყობა კი ებრაელი ლტოლვილების მიმართ საკმაოდ კრიტიკული იყო. 42 განყოფილებიდან, რომელიც საიმიგრაციო საკითხებზე მუშაობდა, 23-ს ლონგი ხელმძღვანელობდა. პიროვნებისთვის, რომელიც ებრაელი ხალხის მიმართ არაკეთილი განწყობით იყო განმსჭვალული, ეს წარმოუდგენლად დიდ ძალაუფლებას ნიშნავდა.

ბრეკინრიჯ ლონგი საიმიგრაციო პოლიტიკის გამკაცრების მომხრე იყო და იმიგრციას ქვეყნისთვის საზიანო, საფრთხისმომტან მოვლენად აღიქვამდა. ის აქტიურად უწყობდა ხელს ვიზების გაცემის პროცესესს შეფერხებას, განსაკუთრებით ევროპელი ებრაელებისთვის, ეროვნული უსაფრთხოების დაცვის არგუმენტით- წუხდა, რომ ლტოლვილებს შორის შეიძლებოდა შემოპარულიყვნენ ნაცისტი აგენტები. თუმცა, ისტორიკოსები ხშირად აღნიშნავენ, რომ ეს რიტორიკა გადაფარავდა მის რეალურ მოტივაციას, რომელიც დაკავშირებული იყო იზოლაციონიზმთან, ქსენოფობიასთან და სავარაუდოდ, ანტისემიტიზმთანაც. ისტორიკოსები დიდი სირთულით ცდილობენ ლონგის ებრაელების მიმართ არსებული ანტისემიტური განწყობილების გამოააშკარავებას, მაგრამ უდავოა, რომ ლონგმა დიდი როლი ითამაშა ლტოლვილების უსაფრთხოების რისკებთან დაკავშირებული იდეების გავრცელებაში. მან პრეზიდენტი დაარწმუნა, რომ ნაცისტების კონტროლის ქვეშ მყოფი ნებისმიერი პიროვნება ქვეყნის უსაფრთხოების რისკს ქმნიდა (Friedlander & Milton, 1980: 248).

ის იყო ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იმ მეტაფორული „ქაღალდის კედლის“ შექმნაში, რომელსაც ისტორიკოსი დეივიდ ვაიმენი დევნილების მიმართ სახელმწიფო დეპარტამენტის პოლიტიკის მისამართით იყენებს.

მას შემდეგ, რაც ბრეკინრიჯ ლონგმა ლტოლვილებთან დაკავშირებულ საიმიგრაციო პოლიტიკაზე აბსოლუტური უფლებამოსილება მოიპოვა, პირველი ნაბიჯი პოლიტიკურ ლტოლვილთა საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველთა კომიტეტისთვის (Presidental Advisory Committee on Political Refugees) დაფინანსების შეწყვეტის ბრძანება იყო. მიზეზი ლონგის გამკაცრებული პოლიტიკის მიმართ კომიტეტის წინააღმდეგობრივი ქმედებები გახდა. ხელმძღვანელ პოზიციაზე მუშაობის პერიოდში ის ზეწოლად ახდენდა, როგორც კომიტეტის თავმჯდომარეზე, ასევე ოკუპირებული ქვეყნების კონსულებზე, რათა ვიზების გაცემის პროცესი შეეფერხებინათ. მის მიერ გატარებული საიმიგრაციო პოლიტიკა იმდენად შემაკავებელი იყო, რომ 1941 წლის სექტემბერში 985 სავიზო განაცხადიდან მხოლოდ 121 იქნა დაკმაყოფილებული (Feingold, 1995: 162).

მკაცრი საიმიგრაციო რეგულაციების აღსრულებამ ბევრ ლტოლვილს შეუქმნა პრობლემა. იყო შემთხვევები, როცა დედით ამერიკელ და მამით ავსტრიელ ბავშვებს ქვეყანაში შესვლის უფლებას არ აძლევდნენ, ან უკვე დამტკიცებული ვიზებს, ხელახალი განხილვის შედეგად, უუქმებდნენ. 1943 წელს კერძო სააგენტოების დაკვირვების შედეგად, რომელთაც სავიზო განყოფილებასთან ყოველდღიური კავშირი ჰქონდათ, გამოიკვეთა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი ლტოლვილების ბლოკირებასთან დაკავშირებით კანონით გათავალისწინებულ შეზღუდვებზე მეტი სიმკაცრით მოქმედებდა. სააგენტოები ამას საჯაროდ არ ახმოვანებდნენ, თუმცა, მათ არქივში დაცულ არაერთ დოკუმენტში არის ფაქტები ასახული. სავიზო განყოფილების ტაქტიკა სავიზო საქმეების ხელახალი განხილვის თვალსაზრისით მათ დაბრკოლებაშიც გამოიხატებოდა. წარუმატებელ აპლიკანტებს მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ ეძლეოდათ უფლება, რომ საქმე განეახლებინათ.

მათ ასევე არ აძლევნენ პასუხს, თუ რა მიზეზით ეუბნებოდნენ ვიზაზე უარს. რაც შეეხება, სადამკვირვებლო კომიტეტს, მისი წევრები, კერძო სააგენტოების შეფასებით - ვიზის მიღების მსურველი „ინდივიდების საქმეებთან დაკავშირებული ფაქტების აბსურდულ ინტერპრეტაციას ახდენდნენ“ (Wyman, 1984: 126).

1941 წლის ივლისში სახელწიფო დეპარტამენტი და მისი წარმომადგენლები საჯაროდ დაადანაშაულეს ანტისემიტიზმში. მას შემდეგ რაც ერთ-ერთმა განაწყენებულმა საზოგადო მოღვაწემ ალფრედ ვაგმა, რომელსაც ბურუსით მოცული ხელისშემშლელი მიზეზების გამო „დომინიკის რესპუბლიკის სახალხო ასოციაციაში“ გაწევრიანების საშუალება არ ეძლეოდა, გაზეთ „ახალ რესპუბლიკაში“ რიგი სტატიების გამოქვეყნება დაიწყო. სტატიებში ის სახელწიფო დეპარტამენტში გავრცელებული ანტისემიტიზმის შესახებ ღიად საუბრობდა. პასუხად, სახელმწიფო მდივანმა კორდელ ჰოლმა და ბრეკინრიჯ ლონგმა პრეზიდენტ რუზველტისთვის ახსნა-განმარტებითი წერილი მოამზადეს, წერილმა არა მხოლოდ პრეზიდენტი, არამედ ამერიკელი საზოგადოების დიდი ნაწილიც დაარწმუნა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი გულმოდგინედ მუშაობდა ლტოლვილების საკითხზე. რაც შეეხება რუზველტს, ის თავის პოლიტიკურ სტატუსზე იყო ორიენტირებული და არ უნდოდა, მის რაიმე ქმედებას კონგრესთან იდეოლოგიური დაშორება გამოეწვია. გერმანიასთან და იაპონიასთან არსებული გადაუჭრელი დიპლომატიური პრობლემების ფონზე, მას უღირდა, დეპარტამენტის დასკვნა ისე მიეღო, რომ მოხსენებების სიზუსტე და სანდოობა ეჭვქვეშ არ დაეყენებინა. მხოლოდ ისეთი ლიბერალური პუბლიკაციები, როგორებიც იყვნენ გაზეთი „ახალი რესპუბლიკა“ (“New Republic”) და „ერი“ (“The Nation”) არ ენდობოდნენ სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშებს და აზს ღიად აფიქსირებდნე. საგულისხმოა, რომ დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშებთან დაკავშირებით ცნობილი ებრაული ორგანიზაციები და ჯგუფები დუმდნენ, მათი მხრიდან მნიშვნელოვანი ნაბიჯები არსებული მგომარეობის გასაპროტესტებლად არ გადადგმულა.

1943 წელს რაბინ სტეფან ვაისის ინიციატივით ერთობლივი სამუშაო კომისია შეიქმნა, რომელთაც გადარჩენის პოლიტიკასთან დაკავშირებით ნიუ-იორკში აქცია გამართეს. სტეფან ვაისი (Stephen Samuel Wise) გამოჩენილი ამერიკელი რაბინი, საზოგადო მოღვაწე და სიონისტური მოძრაობის ლიდერი იყო, ამერიკულ-ებრაული კონგრესის და მსოფლიო ებრაული კონგრესის ერთ-ერთი დამფუძნებელი. მეორე მსოფლიო ომის დროს ის ხშრად გამოდიოდა ჰიტლერის წინააღმდეგ. რაბინი და მისი ინიციატივით შექმნილი კომისიის წევრები რუზველტთან შეხვედრას ითხოვდნენ. თეთრმა სახლმა ეს მოთხოვნა მიიღო და ის სახელმწიფო დეპარტამენტს გადასცა. სახელმწიფო დეპარტამეტის მდივანმა კორდელ ჰოლმა (Cordell Hull) მოთხოვნას უარით უპასუხა, იმ მიზეზით, რომ რუზველტი ებრაელ ლტოლვილთა საკითხით დაინტერესებული არ იყო. ებრაელთა გადარჩენის და ზოგადად ებრაელებთან დაკავშირებული ყოველი საკითხის უარყოფა მისი ჩვეული პრაქტიკა იყო. მიუხედავად იმისა, რომ კორდელ ჰოლი პირადად წინააღმდეგი იყო ნაცისტური რეჟიმის და ის ერთ-ერთი მხარდამჭერი იყო, როცა საქმე გერმანიის წინააღმდეგ სანქციების მხარდაჭერას ეხებოდა, მისი ქმედებები და პოლიტიკა მეორე მსოფლიო ომის დროს ებრაელ ლტოვილებთან მიმართებით ბევრმა მკვლევარმა შეაფასა, როგორც არასწორი და არასაკმარისად მკაცრი. მიუხედავად დეპარტამენტის უარისა შვიდმა ებრაელმა კონგრესმენმა ემანუელ სელერის ხელმძღვანელობით მაინც მოახერხა პრეზიდენტთან შეხვედრა, თუმცა შეხვედრა არც თუ ისე ნაყოფიერი აღმოჩნდა იმ მიზეზით რომ შეხვედრაზე მხოლოდ გამკაცრებულ საიმიგრაციო პოლიტიკაზე და მისი ძალით განპირობებულ პრობლემებზე ისაუბრეს და ებრაელთა მიმართ სამაშველო ღონისძიებებზე მოთხოვნა ნაკლებად მკაცრი იყო. საიმიგრაციო საკითხებთან დაკავშირებით კი, პრეზიდენტმა ისინი ლონგთან გადაამისამართა, შედეგად ებრაელთა სასიკეთოდ არაფერი შეცვალა (Wyman, 1984: 89).

1943 წელს პრეზიდენტმა რუზველტმა ებრაელთა სამაშველო მისიის შექმნის მიზნით მოკავშირე ქვეყნებთან ერთად ბერმუდის კონფერენციის შექმნის იდეა გამოთქვა. კონფერენციის გამართვის იდეას ბრეკინრიჯ ლონგის მხრიდან სასტიკი წინააღმდეგობა მოჰყვა. თუმცა, ამ შემთხვევაშიც მან უფლებამოსილების ფარგლებში თავისი გავლენა გამოიყენა და კომიტეტი თავისი თანამოაზრეებით დააკომპლექტა. ბერმუნდის კონფერენცია 19 აპრილს დაიწყო და თორმეტი დღე გაგრძელდა. ლონგმა და მისმა თანამშრომლებმა დელეგატებს სამოქმედოდ მკაცრად შეზღუდული სახის მემორანდუმი შეუდგინეს და გააფრთხილეს, ლტოლვილთა პრობლემასთან დაკავშირებით საუბრისას „ებრაული არსის“ წინა პლანზე წამოწევისგან თავი შეეკავებინათ, არ დაპირებოდნენ დაფინანსებას და ყველაზე მთავარი - არ შეეთავაზებინათ საიმიგრაციო კანონში რაიმე სახის ცვლილების შეტანა. იმის გათვალისწინებით, რომ კონფერენციაში მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლებს გადარჩენის პოლიტიკის გარკვეული სახის გეგმა უნდა შეემუშავებინათ, დელეგატებმა გამართულ შეხვედრაზე ისაუბრეს გზებზე, რომელიც ნეიტრალურ ქვეყნებს წაახალისებდა, ევროპელი ლტოლვილები თავის რიგებში მიეღოთ და ამ გზით მათთვის დროებით თავშესაფარი შეექმნათ. (Rosen, 2006: 272) მართალია, ბერმუდის კონფერენციამ ებრაელთა პრობლემა ვერ გადაჭრა, მაგრამ პრეზიდენტ რუზველტის მისამართით 1944 წელს განხორციელებულმა ზეწოლამ დიდი როლი ითამაშა. პრეზიდენტის 9417 ბრძანების თანახმად „ომის ლტოლვილთა საბჭო“ შეიქმნა, რომელსაც სახელმწიფო, ფინანსთა და ომის დეპარტამენტამენტებთან თანამშრომლობით ლტოლვილთა საიმიგრაციო საკითხებზე უნდა ემუშავა. მიუხედვად იმისა, რომ საბჭო შეზღუდული სახსრებით და არასაკმარისი სამუშაო ძალით მოქმედებდა, ის ცდას არ აკლებდა, რომ ებრაელების მიმართ სამაშველო ღონისძიებები განეხორციელებინა. შედეგად მან მართლაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა დაახლოებით 200,000 ებრაელის გადარჩენის საქმეში. მისი წყალობით ალიანსის ქვეყნებიდან 15,000 ევრაელი იქნა ევაკუირებული და ათასობით მათგანი საბჭოს მიერ ფარულად დაფინანსებული პროგრამების ძალით დაცული. თუმცა, მთავარი სისუსტე ამ საბჭოსი იყო ის, რომ ის ძალიან გვიან შეიქმნა. როგორც “ომის ლტოლვილთა საბჭოს“ აღმასრულებელმა დირექტორმა ჯონ პელიმ აღნიშნა: „რაც ჩვენ გავაკეთეთ, ძალიან ცოტა იყო. ძალიან დაგვიანებული... გვიანი და ცოტა, ასე ვიტყოდი“ (Wyman, Pehle-Jarvik interview).

ებრაელი ლტოლვილების ამერიკის შეერთებულ შტატებში მიღების მოწინააღმდეგეთა გარკვეული ნაწილი, ებრაელების მიმართ ანტიპათიით გამსჭვალული სულაც არ ყოფილან, მაგრამ კანონის გამკაცრების მომხრეთა დიდ ნაწილში ნამდვილად არსებული ატიებრაული გრძნობები, ანტისემიტიზმთან პირდაპირ კავშირში იყო. როგორც ჩანს, ანტისემიტიზმი ერთ-ერთი მთავრი განმსაზღვრელი ფაქტორი აღმოჩნდა იმ „ძუნწი“ პოლიტიკისა, რასაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ებრაელი ლტოლვილების მისამართით პერლ ჰარბორის მოვლენებამდე ახორციელებდა. ომის პერიოდში მათი ეს განწყობა „ჰოლოკოსტის“ ცნობილი მოვლენებისადმი მათ რექციაში გამოიხატა.

1942 წლის ნოემბერში კონგრესის ორივე პალატატაში კონსერვატორმა წევრებმა მოიყარეს თავი, რაც იმას ნიშნავდა, რომ ქვეყანაში იმიგრაციის ზრდის შანსი კიდევ უფრო შემცირდა. ბრეკინრიჯ ლონგსაც პოლიტიკური თვალსაზრისით უფრო მეტი მხარდამჭერი გამოუჩნდა. მისი გავლენა იმდენად გაძლიერდა, რომ ლტოლვილებთან დაკავშირებული საკანონმდელო საქმიანობის განხორციელების საკითხში, პრაქტიკულად ლონგზე მეტი გავლენა მხოლოდ პრეზიდენტს ჰქონდა, თუმცა მოცემულ ეტაპზე საიმიგრაცო პოლიტიკა მეორე ხარისხოვანი გახდა. ამერიკის შეერთებული შტატები ევროპელი ებრალების გადარჩენასთან დაკავშირებით ახალი გამოწვევის წინაშე დადგა - გაენადგურებინა თუ არა ოსვენციმის კომპლექსი, ადგილის, სადაც განთავსებულ საკონცენტრაციო ბანაკებში ფაშისტები რეგულარულად ახდენდნენ ებრაელების განადგურებას.

მკვლევართა გარკვეული ნაწილი ანტისემიტიზმში ქვეყნის მთავარსარდალს პრეზიდენტ რუზველტსაც ადანაშაულებს და ქვეყნის პოლიტიკურ არჩევანსაც მის განწყობას უკავშირებს. აშკარაა, რუზველტის ადმინისტრაცია ისე მუშაობდა, რომ პოლიტიკური რისკები დაბალი ყოფილიყო. არსებული დეპრესიის ფონზე კანონის გამკაცრების მომხრეები დიდი სიმკაცრით, ხოლო ქვეყანაში არსებული ებრაული მოსახლეობა მთავრობისა და კონკრეტულად პრეზიდენტი რუზველტისადმი ლოიალურობით ხასიათდებოდნენ. რუზველტმაც ლტოლვილებთან დაკავშირებული საიმიგრაციო საკითხები საშტატო დეპარტამენტს გადააბარა და ქვეყნის წინაშე მდგარი დილემა მთლიანად სახელმწიფო მდივანს - კორდელ ჰოლის მიანდო. პრეზიდენტის მხრიდან ეს ნამდვილად პოლიტიკურად მომგებიანი ნაბიჯი იყო, რადგან საიმიგრაციო პოლიტიკის ფორმირების კუთხით გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი, რასაც სხვადასხვა ხასიათის სახალხო რეაქცია შეიძლებოდა მოჰყოლოდა, სახელმწიფო დეპარტამენტის და მისი მდივნის კორდელ ჰოლის სახელს დაუკავშირდებოდა. თავისი სვლით რუზველტი ისე ჩაერთო პროცესში, რომ მან კვლავაც ამერიკელი ებრაელების მხარდამჭერი პრეზიდენტის იმიჯი შეინარჩუნა. სინამდვილეში, საშტატო დეპარტამენტზე აღნიშნული საკითხის გადაბარებით, მან შესანიშნავი პოლიტიკური სვლა გააკეთა, მხოლოდ იმისთვის, რომ ებრაელი ლტოლვილების დასახმარების საკითხში პასუხისმგებლობა თავიდან აეცილებინა, თუმცა მისი ეს ნაბიჯი, ჩემი აზრით, ჰომოფობიურ გრძნობებს არ უნდა უკავშირდებოდეს, როგორც ამას მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, მით უფრო, რომ ჯერ კიდევ ნიუ-იორკის მერად ყოფნის პერიოდიდან მას ბევრი ებრაული წარმოშობის სახელმწიფო მოხელე ჰყავდა გარშემო შემოკრებილი და სწორედ ეს ებრაელები იყვნენ მის მთავრობაში გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე წარმოდგენილნი. თუმცა, მოვლენები, როგორიც თუნდაც „სენტ ლუიზის“ შემთხვევაა, გარკვეულ საფუძვლიან ეჭვებს, ამ საკითხით დაინტერესებულ მკვლევართა შორის, მართლაც ჰბადებდა.

1939 წლის დასაწყისში „სენტ ლუიზის“ საკრუიზო ლაინერით გერმანიიდან გამოქცეული ცხრაასზე მეტი ებრაელი, ამერიკის შეერთებულ შტატებში შესვლის იმედით ჰავანას ნავსაგურს მიადგა, თუმცა უშედეგოდ. ისინი არც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, არც კუბამ და არც კანადამ მიიღო. 27 მაისს კუბის მთვრობამ ჰავანას პორტში ჩასული გემიდან მხოლოდ 28 მგზავრი შეუშვა ქვეყანაში, საიდანაც ამერიკის ვიზის მქონე 22 ებრაელი იყო, დანარჩენი ექვსი მგზავრიდან - ოთხი ესპანეთის მოქალაქე და ორიც კუბის მოქალაქე იყო, რომლებიც ქვეყანაში შესვლისთვის სათანადო დოკუმენტაციით იყვნენ აღჭურვილნი. 908 უსაბუთო მგზავრს კი (ერთი მგზავრი მგზავრობის დროს გარდაიცვალა, ერთიც თვითმკვლელობის მცდელობის შედეგად ჰავანის საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი) ვიზის მიღების მოლოდინში კვლავ ევროპის ქვეყნებში მოუხდათ დაბრუნება, სადაც ბელგიის, ჰოლანდიის, დიდ ბრიტანეთის და საფრანგეთის მთავრობებისგან შეძლეს თავშესაფრის მიღება (United States Holocaus Memorial Museum, Holocaust Encyclopedia).

„სულ მახსოვს ხანგრძლივი მოგზაურობით შეწუხებული დედაჩემის სახე, მარტოდმარტო - ორ არასრულწლოვან ქალიშვილთან ერთად" - აღნიშნავს 90 წლის გიზელა ფელდმანი „ბი ბი სი“-ს ჟურნალისტთან საუბრისას. მას კვლავაც ახსოვს განცდილი ემოციები, როდესაც ის - 15 წლის გოგონა, დედასთან და უმცროს დასთან ერთად ჰამბურგის ნავსადგურთადან სენტ ლუიზის ლაინერში ჯდებოდა. როდესაც გერმანიაში ებრაელთათვის ქონების ჩამორთმევა, ბიზნესის განადგურება და სინაგოგების დარბევა დაიწყო, მისი ოჯახი მიხვდა, რა საფრთხე ელოდათ თუ კი ქვეყანაში დარჩებოდნენ. მამის დააპატიმრების შემდეგ ფელდმანი პოლონეთში დედასთან გადაასახლეს, ფელდმანის დედამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისგან თავშესაფარის მიღების იმედით ქვეყნის დატოვება გადაწყვიტა. „ჩვენ გაგვიმართლა რომ ასეთი მამაცი დედა გვყავდა“- აღნიშნავს ფელდმანი (Lanchin, 2014).

მას შემდეგ რაც კუბის მთავრობამ ებრაელი ლტოლვილების ქვეყანაში შეშვებაზე უარი განაცხადა, მსოფლიო პრესამ აღნიშნული ინფორმაცია მილიონობით მკითხველამდე მიიტანა. თემა გაშუქდა ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, თუმცა მხოლოდ ინფორმაციის დონეზე. მკვლევართა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტ რუზველტის უმოქმედობა ანტისემიტიზმის, ან მასზე არსებული ანტისემიტური გავლენის შედეგი იყო. პრობლემის განსხვავებულ ხედვას გვთვაზობს რობერტ როუზენი წიგნში „ებრაელების გადარჩენა, ფრანკლინ დ. რუზველტი და ჰოლოკოსტი.“ ავტორი აღნიშნავს, რომ რომ არა „ებრაულ ამერიკული გაერთიანებული კომიტეტის“ მიმართ პრეზიდენტის ადმინისტრაციის დახმარება, გამოქცეული ლტოლვილების უკან, საკონცენტრაციო ბანაკებში გაგზავნა მოხდებოდა. ზოგიერთი მკვლევარი საწინააღმდეგოს ამტკიცებს, მაგალითად „სიბიეს“-ის ყოფილი რეპორტიორი არტურ დ. მორსი 1967 წელს გამოცემულ ერთ-ერთ საუკეთესოდ გაყიდვად წიგნში - „როცა ექვსი მილიონი კვდებოდა: ამერიკული აპათიის ქრონილოგია“ - ავტორი რუზველტს და შტატების მთავრობას ებრაელების მისამართით არსებულ გულგრილობაში ადანაშაულებს და წერს, რომ ამერიკის მთავრობის ბრძანებით სანაპიროს დაცვა სპეციალურად იქნა მობილიზებული იმისთვის, რომ საზღვარზე ლტოლვილთა შეკავება მოეხდინათ. მაშინ როცა, საპირისპიროდ, როზენთან ვკითხულობთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრმა ჰენრი მორგენთაუმ, რომელსაც რუზველტთან დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდა და ასევე, ებრაელებისადმი კეთილგანწყობით და მფარველობით გამოირჩეოდა, სანაპირო დაცვას ლტოლვილთა დახმარება უბრძანა. ამ ფაქტს ადასტურებს მორგენთაუს პირადი ჩანაწერებიც, სადაც ის აღნიშნულთან დაკავშირებით ჰულის ესაუბრება (Rosen, 2006, 97).

ფაქტი, რომ ლტოლვილების მიერ გაგზავნილ ორ ტელეგრამს პრეზიდენტმა რუზველტმა არც ერთხელ უპასუხა, მთავრობის დადანაშაულების კიდევ ერთ საბაბს აძლევს იმ მკვლევრებს, ვინც მოცემულ პრობლემასთან დაკავშირებით შეერთებული შტატების მიერ გატარებულ პოლიტიკას აკრიტიკებს. „მან არ უპასუხა, ან არც სცნო „სენტ ლუისის“ მგზავრთა კომიტეტის მიერ გაგზავნილი ორი ტელეგრამი.“ - აღნიშნავს გორდონ ტომასი და მაქს მორგან-ვითსი წიგნში „დაწყევლილი ვოიაჟი: შოკისმომგვრელი ნამდვილი ამბავი იმედის, ღალატის და ნაცისტების ტერორისა“ (Gordon, 2010: 250).

რეალურად, კონგრესის გვერდის ავლით რუზველტს ლტოლვილების ქვეყანაში შეშვება გაუჭირდებოდა. ამიტომ ტელეგრამზე მისი პასუხი, ალბათ, მხოლოდ თავშესაფრის მაძიებლებისადმი კეთილი სურვილებით შემოიფარგლებოდა. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ რუზველტს თავისი მრჩევლების უელისის, ჰოლის, მორგენთაუს და როზენმენისგან ჰქონდა ინფორმაცია, რომ „ებრაულ-ამერიკული ერთობლივი კომიტეტი“ „სენტ-ლუისის“ მგზავრების დასახმარებლად ყველაფერს აკეთებდა. თავად რუზველტიც არა საჯაროდ, მაგრამ სცენის მიღმა, ალბათ, ფარულად ცდილობდა კომიტეტის დახმარებით ლტოლვილების დახმარებოდა.

იმ ამერიკელთა არგუმენტები, რომლებიც ქვეყანაში ებრაელი ლტოლვილების მიღებას ეწინააღმდეგებოდა, შემდეგ ფაქტებს ემყარებოდა: 1. ეკონომიკური შიში: 1930-იანი წლების დეპრესიის ფონზე მათ ახალი იმიგრანტების მიღება არ სურდათ, იმ მიზეზით, რომ ისედაც შეზღუდულ სამუშაო ადგილებს ახალი იმიგრანტები დაიკავებდნენ, შედეგად კი უმუშევრობის დონე კიდევ უფრო გაიზრდებოდა. 2. ანტსემიტიზმი: საზოგადოებაში არსებობდა გაბატონებული ანტისემიტური სტერეოტიპები, რაც განსაკუთრებით მკაფიო იყო მედიასა და პოლიტიკური წრეებში. (მაგალითად, ისეთი ფიგურები, როგორიც იყო სასულიერო პირი ჩარლზ კოფლინი, რადიომიმართვების მეშვეობით საჯაროდ ავრცელებდა ანტისემიტურ იდეებს). 3. იზოლაციონიზმი: ამ ყველაფერს თან ერთვოდა ამერიკული ნატივიზმის ძლიერი გრძნობა, ან კიდევ „100 პროცენტიანი ამერიკანიზმი.“ ბევრი ამერიკელი თვლიდა, რომ ქვეყანას თავი

შორს უნდა დაეჭირა ევროპის კონფლიქტისგან. ეს განწყობა განსაკუთრებით ძლიერი იყო პირველი მსოფლიო ომის გამოცდილების შემდეგ.

1938 წელს ჩატარებულმა Gullup-ის გამოკითხვამ აჩვენა, რომ მხოლოდ 21% ამერიკელი უჭერდა მხარს ებრაელი ლტოლვილების ქვეყანაში მიღების იდეას. (The Gullup Poll: Public Opinion 1935-1971, 1972) 1939 წელს, როდესაც ცნობილი გახდა გერმანული ლაინერის „სენტ ლუიზის" ტრაგედია და საზოგადოება ხედავდა აშშ-ს მთავრობის უარს მათ შესვლასთან დაკავშირებით, გამოკითხულთა უმრავლესობა კვლავაც ეწინააღმდეგებოდა ლტოლვილების მიღებას. მოკლედ, აშშ-ში სახალხო აზრი ხშირ შემთხვევაში პასიური, ან აქტიურად წინააღმდეგობრივი იყო ებრაელი ლტოლვილების მიღებაზე. ნათელია, რომ ქვეყნის მთავრობის მიერ არჩეული იზოლაციონისტური კურსი, ამერიკული საზოგადოების დიდი ნაწილის განწყობასთან შესაბამისობაში იყო, ხოლო მოსახლეობის ზოგადი განწყობა - ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი. ქსენოფობიურ გრძნობებს, რომლებიც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ წამოიზარდა, 20-იანი წლების გამკაცრებული საიმიგრაციო პოლიტიკა და ანტიებრაული შეხედულებები დაერთო, ამ ყველაფერმა ერთად დიდი როლი შეასრულა ანტისაიმიგრაციო პოლიტიკაზე. ამერიკული ნატივიზმის მაღალი განცდა მეორე მსოფლიო ომის დასრულებამდე გაგრძელდა.

დასკვნა. ამერიკის შეერთებული შტატების საიმიგრაციო პოლიტიკის ანალიზი მეორე მსოფლიო ომის წლებში, ებრაელი ლტოლვილების მიმართ, ცხადყოფს, თუ როგორ იქმნება პოლიტიკა საზოგადოებრივი განწყობების, სტრუქტურული ბიუროკრატიისა და პოლიტიკური იდეოლოგიის ერთობლივი ზემოქმედებით. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ასპარეზზე ჰოლოკოსტის სისასტიკე თანდათან აშკარა ხდებოდა, ამერიკის ხელისუფლებამ ვერ შეძლო, ან არ ისურვა ლტოლვილთა საკითხისადმი ეფექტური და თანაგრძნობით გამსჭვალული პოლიტიკის განხორციელება. შტატების საიმიგრაციო პოლიტიკა მაინც მკაცრად შეზღუდული რჩებოდა, რაც გამოიხატებოდა კვოტური სისტემით, ბრეკინრიჯ ლონგის მსგავსი სახელმწიფო მოხელეების მიზანმიმართული შეფერხებითა და საზოგადოების დიდი ნაწილის გულგრილობით, ან წინააღმდეგობით. ადმინისტრაციულმა მექანიზმებმა და საზოგადოებრივი აზრის გამოხატულმა წინააღმდეგობრივმა ხასიათმა მნიშვნელოვანი ბარიერი შექმნა თავშესაფრის მაძიებელთა უსაფრთხოებაზე რეაგირებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

Bartrop, P. R. (2019). *The Holocaust: The Basics. Abingdon*. UK: Routledge.

BBC. (n.d.). *Testimony of Gisela Feldman* [Interview transcript]. British Broadcasting Corporation Archives.

Bermuda Conference Delegation. (1943). *Memorandum on refugee policy*. Allied Diplomatic Archives.

Breitman, R., & Kraut, A. M. (1987). *American Refugee Policy and European Jewry, 1933–1945.* Bloomington: Indiana University Press.

Feingold, H. L. (1995). *A Time for Searching: Entering the Mainstream, 1920–1945.* Baltimore: Johns Hopkins University Press.

Friedlander, H. & Milton, S. (Eds.). (1980). *The Holocaust: Ideology, Bureaucracy, and Genocide: The San José Papers*. Millwood, NY: Kraus International Publications.

Gallup, G. (1938–1939). *American public opinion surveys*. Roper Center for Public Opinion Research.

Hull, C. (1948). *The memoirs of Cordell Hull* (Vols. I–II). Macmillan.

Lanchin, M. (2014). *SS St Louis: The ship of Jewish refugees nobody wanted*. BBC World Service.
League of Nations. (1938). *Evian Conference Proceedings*. Geneva: League of Nations Archives.
Long, B. (1940). *State Department memoranda and correspondence on refugee policy* [Government documents]. U.S. National Archives.
Morse, A. D. (1967). *While six million died: A chronicle of American apathy*. Random House.
Rosen, R. N. (2006). *Saving the Jews: Franklin D. Roosevelt and the Holocaust*. Thunder's Mouth Press.
The New Republic. (1940–1945). Various articles on U.S. refugee policy and anti-Semitism.
The Nation. (1940–1945). Various articles on immigration and the Holocaust.
Thomas, G., & Witts, M. M. (1974). *Voyage of the damned*. Stein and Day.
U.S. Department of State. (1930–1945). *Visa and refugee policy documents* [Archival materials]. National Archives and Records Administration.
Wise, S. S. (1940). *Speeches and public statements* [Manuscripts]. American Jewish Archives.
Wyman, D. S. (1984). *The abandonment of the Jews: America and the Holocaust, 1941–1945*. Pantheon Books.

REFERENCES

Bartrop, P. R. (2019). *The Holocaust: The Basics. Abingdon*. UK: Routledge.
BBC. (n.d.). *Testimony of Gisela Feldman* [Interview transcript]. British Broadcasting Corporation Archives.
Bermuda Conference Delegation. (1943). *Memorandum on refugee policy*. Allied Diplomatic Archives.
Breitman, R., & Kraut, A. M. (1987). *American Refugee Policy and European Jewry, 1933–1945.* Bloomington: Indiana University Press.
Feingold, H. L. (1995). *A Time for Searching: Entering the Mainstream, 1920–1945.* Baltimore: Johns Hopkins University Press.
Friedlander, H. & Milton, S. (Eds.). (1980). *The Holocaust: Ideology, Bureaucracy, and Genocide: The San José Papers*. Millwood, NY: Kraus International Publications.
Gallup, G. (1938–1939). *American public opinion surveys*. Roper Center for Public Opinion Research.
Hull, C. (1948). *The memoirs of Cordell Hull* (Vols. I–II). Macmillan.
Lanchin, M. (2014). *SS St Louis: The ship of Jewish refugees nobody wanted*. BBC World Service.
League of Nations. (1938). *Evian Conference Proceedings*. Geneva: League of Nations Archives.
Long, B. (1940). *State Department memoranda and correspondence on refugee policy* [Government documents]. U.S. National Archives.
Morse, A. D. (1967). *While six million died: A chronicle of American apathy*. Random House.
Rosen, R. N. (2006). *Saving the Jews: Franklin D. Roosevelt and the Holocaust*. Thunder's Mouth Press.
The New Republic. (1940–1945). Various articles on U.S. refugee policy and anti-Semitism.
The Nation. (1940–1945). Various articles on immigration and the Holocaust.
Thomas, G., & Witts, M. M. (1974). *Voyage of the damned*. Stein and Day.
U.S. Department of State. (1930–1945). *Visa and refugee policy documents* [Archival materials]. National Archives and Records Administration.
Wise, S. S. (1940). *Speeches and public statements* [Manuscripts]. American Jewish Archives.
Wyman, D. S. (1984). *The abandonment of the Jews: America and the Holocaust, 1941–1945*. Pantheon Books.